Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

ISET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

პოლიტიკის დოკუმენტი:

ქალები და სიღარიბე სამხრეთ კავკასიაში

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტის შინაარსი არის ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობა და შეიძლება არ ასახავდეს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) პოზიციას.

შესავალი: ქალები და სიღარიბე მთელ მსოფლიოში

2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგში მსოფლიოში სიღარიბის დაძლევა უპირველესი ამოცანაა. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში, სიღარიბის მხრივ, კრიზისი გლობალურად გამწვავდა როგორც COVID-19-ის პანდემიის, ისე რუსეთ-უკრაინის ომის გამო. მკვლევრები ამჟამად ვარაუდობენ, რომ 2022 წელს მთელ მსოფლიოში 760-დან 873 მილიონამდე ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში იცხოვრებს[1], რომელთაგანაც 388 მილიონიდან 446 მილიონამდე ქალი და გოგონა იქნება (შესაბამისად, 372-427 მილიონ მამაკაცთან და ბიჭთან შედარებით). სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ყველაზე ღარიბ ოჯახთა 20%-ში ქალები ჭარბობენ მამაკაცებს მსოფლიოს იმ ქვეყნების ნახევარზე მეტში, სადაც ხელმისაწვდომია სქესის მიხედვით დაყოფილი მონაცემები (UN Women, 2015)[2]. სიღარიბე გენდერულ ჭრილში აღწერილია მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

კონცეპტუალური პერსპექტივიდან, სიღარიბის მაჩვენებლებს შორის გენდერული ნიშნით განსხვავების მიზეზებს შეიძლება მივაკვლიოთ მამაკაცთა და ქალთა შორის ეკონომიკური ძალაუფლების დისბალანსში და გენდერულად დისკრიმინაციული სტრუქტურებისა და კულტურული პრაქტიკის არსებობაში, რაც ხელს უშლის ქალებს, ჰქონდეთ წვდომა საჭირო რესურსებზე სიღარიბისაგან თავის დასაღწევად ან დაუცველობის შესამცირებლად (შანტი, 2003, 2010; ჯონსონ-ლეთემი, 2004). მაგალითად, საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ქალები კაცებზე ნაკლებს გამოიმუშავებენ მსოფლიოს მასშტაბით და რომ მამაკაცთა და ქალთა ხელფასებს შორის სხვაობა დამახასიათებელია როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნებისათვის (ტერადა-ჰაგივარა და სხვ., 2018). გარდა ამისა, ქალები, ასევე, ჭარბად არიან წარმოდგენილნი არაფორმალური დასაქმების სფეროში, რაც ამძაფრებს ეკონომიკურ მოწყვლადობას – მაგალითად, არსებული მონაცემების თანახმად, მსოფლიოს მასშტაბით არაფორმალური მუშაკების 63% ქალია (UN Women, 2015). გარდა ამისა, ბავშვებისა და ოჯახის ხანდაზმული წევრების არაანაზღაურებადი მოვლა/ზრუნვა, ძირითადად, ქალებს უწევთ (ბაბიჩი, 2021), რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს სამუშაო ძალაში ქალების წილის შემცირებას და, შესაბამისად, ამცირებს მათ შემოსავალს.

ამგვარად, შემუშავებულმა პოლიტიკამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ქალთა სიღარიბის განმაპირობებელი დისბალანსის შემცირებას და, შესაბამისად სიღარიბის საერთო მაჩვენებლის შემცირებასაც. თუმცა სიღარიბის გენდერული ბუნება და ქალების, როგორც სოციალური ჯგუფის, დაუცველობა, როგორც წესი, უგულებელყოფილია ხელმისაწვდომ სტატისტიკურ მონაცემებში. სიღარიბის წმინდად მატერიალურ ელემენტებზე (შემოსავალი და მოხმარება) კონცენტრირებისას არსებული მონაცემები ცხადყოფს, რომ სიღარიბის მაჩვენებლის გენდერული ნიშნით დიფერენციაცია არავითარ შემთხვევაში არ არის ერთგვაროვანი ფენომენი და ის განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების, ოჯახის წევრების რაოდენობისა და ოჯახის სტრუქტურის მიხედვით.

[1] https://data.unwomen.org/features/poverty-deepens-women-and-girls-according-latest-projections

[2] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გენდერულად ჩაშლილ მონაცემებში მნიშვნელოვანი ხარვეზებია საოჯახო დონეზე მსოფლიოს ყველაზე ღარიბ რეგიონებში, როგორიცაა სუბსაჰარული აფრიკა და აზიის ნაწილი. UN Women. (2015). მსოფლიოს ქალების პროგრესი 2015-2016.

- მაგალითად, მთლიანობაში გლობალურად სიღარიბის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება გენდერული ნიშნით (ქალთა სიღარიბის მაჩვენებელი 12,8%-ს უტოლდება, მამაკაცებისთვის იგივე მაჩვენებელი 12,3%-ია). მიუხედავად ამისა, მამაკაცებთან შედარებით, სიღარიბის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია 20-34 წლის ქალთა ასაკობრივ ჯგუფში. ყველაზე დიდი სხვაობა კი დაფიქსირდა 25-29 ასაკობრივ ჯგუფში, რაც ემთხვევა იმ ასაკს, როდესაც ქალების უმეტესობა მცირეწლოვან შვილებს ზრდის. ამ ეტაპის შემდეგ, გენდერული ნიშნით სხვაობა სიღარიბის მაჩვენებლებს შორის მცირდება და 85 წლის ასაკის ზემოთ ქალებში კვლავ იზრდება (Munoz-Boudet, სხვები, 2021).
- როგორც წესი, ბავშვებში სიღარიბის უფრო მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ზრდასრულებთან შედარებით (15 წელს ზემოთ პირების შემთხვევაში) და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბით სიღარიბის მაჩვენებელი გოგონებსა და ბიჭებში, ფაქტობრივად, თანაბარია, სამხრეთ აზიაში სიღარიბის მაჩვენებელი გოგონებში უფრო მაღალია (იქვე), რაც იქიდან გამომდინარეობს, რომ უფრო ღარიბ ოჯახებს ამ რეგიონში უფრო მეტი შვილი ჰყავთ და მათი უმეტესობა გოგოები არიან. აღნიშნული ფაქტის მთავარი მიზეზი კი ის კულტურული ფენომენია, რომლის მიხედვითაც ოჯახები ვაჟიშვილს ანიჭებენ უპირატესობას და, მიუხედავად ოჯახის რჩენისათვის საჭირო რესურსების ნაკლებობისა, ბიჭის გაჩენას ცდილობენ.
- რაც შეეხება ოჯახის სტრუქტურას, მსოფლიოს მასშტაბით, შვილიანი ოჯახები უფრო ღარიბები არიან (იქვე). თუ გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ ქალები, როგორც წესი, უფრო ხშირად ცხოვრობენ ბავშვებთან ერთად ვიდრე კაცები, ეს მოცემულობა კიდევ უფრო მეტად ზრდის ქალების მოწყვლადობას სიღარიბის მიმართ.
- მარტოხელა მშობლები, რომელთა უმრავლესობაც ქალები არიან, გაცილებით მეტად განიცდიან სიღარიბეს, ვიდრე ის ოჯახები, სადაც ორივე მშობელია. აღნიშნული კი განაპირობებს იმას, რომ ოჯახებში, სადაც მარჩენალი ქალია, სიღარიბის დონე გაცილებით მაღალია მსოფლიოს მასშტაბით, ვიდრე ის ოჯახები, სადაც მთავარი მარჩენალი კაცია (UN Women, 2019).

მკვლევრების აზრით, არსებული მონაცემები არ არის საკმარისი სიღარიბის გენდერულ ჭრილში სათანადოდ შესაფასებლად და სტატისტიკა მხოლოდ ვიწრო ასპექტს წარმოაჩენს ქალთა ეკონომიკური დაუცველობის შესახებ, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ სიღარიბის მაჩვენებელი საოჯახო დონეზე გაიზომა, სადაც ოჯახის (რომელიც კაცისა და ქალისგან შედგება) მთლიანი შემოსავალი/მოხმარება იყოფა წევრებს შორის „ზრდასრულთა ეკვივალენტური სკალის“ მიხედვით[3]. ოჯახი (შესაბამისად, მისი ყველა წევრი) ღარიბად ითვლება, თუ მისი კორექტირებული შემოსავალი/მოხმარება ერთ ადამიანზე გარკვეულ ზღვარზე დაბალია. თუმცა ამ მეთოდის გამოყენებით შეუძლებელია ოჯახს შიგნით კაცი ან ქალი წევრების მიერ რესურსებზე/მოხმარებაზე წვდომაზე შესაძლო დისბალანსის იდენტიფიცირება. მეთოდი, ასევე, არ აჩვენებს სიღარიბის მიმართ მოწყვლადობას ოჯახს შიგნით (მაგ. აქტივების ფლობა, ოჯახის

[3] ერთ ადამიანზე შინამეურნეობის შემოსავლის კორექტირების მეთოდი ოჯახის თითოეული წევრისთვის ქულის მინიჭებით (პირველ წევრს ენიჭება 1 ქულა, ხოლო ყოველი მომდევნო წევრი იღებს უფრო დაბალ ქულას ასაკის შესაბამისად).

ფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და ოჯახში ძალადობის ფიზიკური ან ეკონომიკური ფორმების გამოცდილება).

შედეგად, მკვლევრები ამტკიცებენ, რომ სიღარიბე გენდერულ ჭრილში არ უნდა შეფასდეს მხოლოდ შემოსავლის ან ეკონომიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით. ფაქტორები, როგორიცაა უფლებები ოჯახში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა და ძალაუფლება, ძალადობის მიმართ მოწყვლადობა და სხვ., ასევე წარმოადგენს ქალებში სიღარიბის განმაპირობებელ მნიშვნელოვან ფაქტორებს (ჯონსონ-ლეთემი, 2004; ჯონსონი, 2005).

განსხვავდება თუ არა სიტუაცია სამხრეთ კავკასიაში? ქალები და სიღარიბე: რეგიონის მიმოხილვა

სამხრეთ კავკასიის მონაცემები წარმოაჩენს, რომ ეს ქვეყნები, გენდერულ ჭრილში სიღარიბის მაჩვენებლების მიხედვით, დანარჩენ მსოფლიოში არსებულ ტენდენციას იზიარებენ (ე.ი. საერთო სურათში, დაახლოებით, თანაბარი სიღარიბის მაჩვენებლებია კაცებსა და ქალებში, თუმცა, გაცილებით მაღალი სიღარიბის მაჩვენებლები ფიქსირდება ბავშვებიან ოჯახებში და მნიშვნელოვნად მაღალი სიღარიბის მაჩვენებლები – ბავშვებიან ოჯახებში, რომლებსაც ქალები უძღვებიან). თუმცა, სამხრეთ კავკასიასა და ევროპის ქვეყნებს შორის შესამჩნევი განსხვავება ისაა, რომ პენსიონერ ქალებში სიღარიბის მაჩვენებელი, გარკვეულწილად, უფრო დაბალია საპენსიო ასაკის კაცებთან შედარებით, ხოლო ევროპის ქვეყნებში, კაცებთან შედარებით, ხანდაზმულ ქალთა შორის სიღარიბის გაცილებით მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საპენსიო შეღავათების სტრუქტურაში არსებული განსხვავებებით. მაგალითად, საქართველოში არსებობს რიგი შეღავათები, რომლებიც მარტოხელა ადამიანისთვის საარსებო მინიმუმის მიღების გარანტიაა, განსხვავებით ევროპაში ხელფასზე დაფუძნებული საპენსიო შეღავათებისგან ან კუმულატიური შეღავათებისაგან, რომლებიც პენსიონერ კაცებს უპირატეს პირობებში აყენებს.

საქართველოში საერთო განსხვავება კაცთა და ქალთა შორის სიღარიბის მაჩვენებლების მხრივ არაარსებითია. აღნიშნული შესაბამისობაშია მთელ მსოფლიოში დაფიქსირებულ ზოგად ტენდენციებთან. მაგალითად, 2021 წელს (HIES 2021-ზე დაფუძნებული ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის გამოთვლებით), საშუალო სიღარიბის მაჩვენებელი[4] ქალებში 18,6 %-ს აღწევდა, ხოლო კაცებში – 19,2 %-ს.

2021 წლის საქსტატის ოფიციალური სტატისტიკა ასახავს ქალთა და კაცთა სიღარიბის მაჩვენებლებს აბსოლუტურ ზღვარზე (საარსებო მინიმუმი) დაყრდნობით. ამ შემთხვევაში, ქალებში სიღარიბის მაჩვენებელი კვლავ ოდნავ დაბალია, ვიდრე კაცებში. თუმცა, როდესაც განვიხილავთ ოჯახებს, რომლებსაც ქალი უძღვება და ოჯახებს, კაცით სათავეში, სურათი მნიშვნელოვნად იცვლება.

[4] განსაზღვრულია იმ პირისთვის, რომელიც ცხოვრობს ოჯახში, რომლის მოხმარების მაჩვენებელი ეკვივალენტური ზრდასრულის მიერ მოხმარების მედიანური მაჩვენებლის 60%-ზე ნაკლებია.

ოჯახებს, რომელთაც ქალები უძღვებიან, 2 პროცენტული პუნქტით მაღალი შედარებითი სიღარიბის მაჩვენებელი აქვთ იმ ოჯახებთან შედარებით, რომელსაც კაცები უძღვებიან (2021 წ. 20% 18.3%-თან). ეს მაჩვენებელი ძალიან ჰგავს მსოფლიო ბანკის მიერ 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით მომზადებულ საქართველოს გენდერული შეფასების კვლევაში დაფიქსირებულ მონაცემებს (მსოფლიო ბანკი, 2021). დამატებით, მსოფლიო ბანკის იმავე კვლევამ გამოავლინა, რომ მარტოხელა ქალები, რომლებსაც შვილები ჰყავთ, წარმოადგენენ ღარიბთა არაპროპორციულად დიდ ნაწილს: ისინი შეადგენენ ოჯახების საერთო რაოდენობის 13%-ს და ღარიბი ოჯახების 17%-ს (იქვე). ამავე ანგარიშის თანახმად, ყველაზე მოწყვლად საოჯახო ჯგუფში (2018 წელს ყველაზე მაღალი სიღარიბის მაჩვენებლით) შედიოდნენ ოჯახები, რომლებიც მხოლოდ ზრდასრული ქალებისაგან შედგებოდა (39.3%-იანი სიღარიბის მაჩვენებელი, საარსებო მინიმუმზე დაყრდნობით).

ანალოგიურად, საპენსიო ასაკის ქალების სიღარიბის მაჩვენებელი საქართველოში ნაკლებია ვიდრე, ზოგადად, ქალებში სიღარიბის მაჩვენებელი (14.1% 18.6%-თან შედარებით), თუმცა ეს უკანასკნელი ოდნავ უფრო მაღალია სიღარიბის მაჩვენებელზე საპენსიო ასაკის მქონე კაცებში, რომელიც 12.9%-ს შეადგენს[5]. აღნიშნული მონაცემები განსხვავდება ევროპის მონაცემებისაგან, სადაც სიღარიბის მაჩვენებელი ასაკოვან ქალებში (65 წელს ზემოთ) გაცილებით მაღალია, ვიდრე ასაკოვან მამაკაცებში – 23% 17%-თან შედარებით (გაერო, 2015).

2018 წელს **სომხეთში** სიღარიბის მაჩვენებელი, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარზე[6] დაყრდნობით, 23.5% იყო. ქალებისა და კაცების სიღარიბის მაჩვენებლებს შორის სხვაობა კვლავ უმნიშვნელო იყო და სიღარიბის მაჩვენებელი ქალებში ოდნავ აჭარბებდა სიღარიბის მაჩვენებელს კაცებში (23.6% 23.4%-თან შედარებით). სომხეთის შემთხვევაშიც არსებული მონაცემები შეესაბამება გლობალურ ტენდენციებს და საქართველოში არსებული მონაცემების მსგავსია.

რაც შეეხება ოჯახებს, რომლებსაც ქალები უძღვებიან, სიღარიბის მაჩვენებლებს შორის სხვაობა სომხეთში ისეთივეა, როგორიც საქართველოში. მაგალითად, ქალების მიერ გაძღოლილ ოჯახებში სიღარიბის მაჩვენებელი 26.3%-ს უტოლდება, ხოლო ოჯახებში, რომლებსაც კაცები უძღვებიან, იგივე მაჩვენებელი 27.3%-ია (2020 წლის არმსტატის მონაცემებზე დაყრდნობით). სიღარიბის მაჩვენებლებს შორის ეს სხვაობა წლების განმავლობაში იცვლებოდა, თუმცა, როგორც წესი, განსხვავება მხოლოდ ერთი ან ორი პროცენტული პუნქტის ფარგლებში მერყეობდა. მიუხედავად ამისა, სიღარიბის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია მარტოხელა დედების ოჯახებში, სადაც ბავშვების ასაკი 6 წელს არ აჭარბებს. ამ კატეგორიაში სიღარიბის მაჩვენებელი (42.1%), ფაქტობრივად, ორჯერ მაღალია სიღარიბის მაჩვენებელთან შედარებით, იმ ქალებში, რომლებსაც 6 წლამდე ბავშვები არ ჰყავთ.

ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა სხვა წერტილში, სომხეთში ბავშვები ზრდასრულებზე ღარიბები არიან (2020 წელს სიღარიბის მაჩვენებელი ბავშვებს შორის 34.1%-ს შეადგენდა).

[5] HIES 2021-ზე დაფუძნებული ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის გამოთვლები/კალკულაციები.

[6] აღსანიშნავია, რომ სომხეთში სიღარიბის აბსოლუტური ზღვრის გამოთვლის მეთოდოლოგია, გარკვეულწილად, განსხვავდება საქართველოსგან. აშშ დოლარის ფარგლებში სიღარიბის ზღვარი სომხეთში უფრო მაღალია, რაც ხსნის იმავე წლებში სიღარიბის უფრო მაღალ მაჩვენებელს. აქედან გამომდინარე, ორი ქვეყნის პირდაპირი შედარება შეუძლებელია სიღარიბის ეროვნული მაჩვენებლის მონაცემებზე დაყრდნობით. თუმცა შესაძლებელია ქალისა და კაცის სიღარიბესა და მონაცემებში საერთო ტენდენციებს შორის განსხვავების განხილვა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში განსხვავება ბიჭებსა და გოგოებში სიღარიბის მაჩვენებლებს შორის საგრძნობლად დიდი არ იყო (34.3% გოგოებს შორის და 33.6% ბიჭებს შორის). გასაკვირი არ არის, რომ უფრო დიდი ოჯახები (6-7 ან მეტი წევრით) საკმაოდ ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი ღარიბ ოჯახთა შორის.

აზერბაიჯანში არსებობს საბაზისო მონაცემები (ოჯახების ბიუჯეტის კვლევის მიხედვით), რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ქალთა და კაცთა შორის სიღარიბის მაჩვენებლებს შორის დიფერენციალური განსხვავების გამოთვლა. მიუხედავად ამისა, საქართველოსა და სომხეთისაგან განსხვავებით, მონაცემები ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი მკვლევრებისთვის ან, თუნდაც, საერთაშორისო ინსტიტუტებისათვის, რაც ხელს უწყობს გენდერულად დიფერენცირებული სიღარიბის შესახებ მონაცემების არარსებობას (ADB, 2019). ეს სამწუხაროა და, სავარაუდოდ, ზიანს აყენებს ქვეყნის განვითარების დღის წესრიგს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში აზერბაიჯანმა საკმაოდ მნიშვნელოვანი და პოზიტიური ნაბიჯები გადადგა სიღარიბესთან ბრძოლაში.

მაგალითად, სიღარიბის საერთო მაჩვენებელი აზერბაიჯანში რადიკალურად შემცირდა 2001 წელს დაფიქსირებული 49%-დან 2021 წელს 5.9%-მდე[7]. თუმცა სიღარიბის შესახებ ყველაზე სრულყოფილი, გენდერულ ჭრილში და ოჯახის ტიპის მიხედვით ჩაშლილი მონაცემები, რომლებიც ჩვენ მოვიძიეთ, სწორედ 2001 წლის მონაცემებია. მიმდინარე წლის განმავლობაში, ქალთა და კაცთა სიღარიბეს შორის არსებული სხვაობა უმნიშვნელო იყო: ქალთა შორის სიღარიბის მაჩვენებელი ორი პროცენტული პუნქტით აღემატებოდა სიღარიბის მაჩვენებელს კაცებში (საქართველოსა და სომხეთის მსგავსად). ზოგადი ტენდენციით, აზერბაიჯანში ოჯახები, რომლებსაც ქალები უძღვებოდნენ, არ იყვნენ უფრო ღარიბები, ვიდრე ოჯახები, სადაც მარჩენალები კაცები იყვნენ (2001 წელს ორივე ჯგუფისთვის სიღარიბის ფარდობითი მაჩვენებელი 17%-ს შეადგენდა). თუმცა აღსანიშნავია, რომ უფრო დიდ ოჯახებში და ოჯახებში, სადაც ბევრი ბავშვია, სიღარიბის მაჩვენებელი ორჯერ აღემატება უშვილო ოჯახების მაჩვენებლებს.

მოწყვლად ჯგუფებში, როგორიცაა იძულებით გადაადგილებული პირები, სიღარიბის მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ქვეყნის საერთო საშუალო მაჩვენებელი. ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას იმ ოჯახების შესახებ, რომელთაც ოთხზე მეტი შვილი ჰყავთ, თუმცა აზერბაიჯანში დაბადებული ბიჭებისა და გოგოების რაოდენობას შორის დიდი განსხვავების გათვალისწინებით (117 ბიჭი და 100 გოგო 2002 წელს; და 121 ბიჭი და 100 გოგო 2020 წელს), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უფრო მეტი გოგონა ცხოვრობდა ისეთ დიდ ოჯახში, სადაც მშობლები ცდილობდნენ ბიჭის გაჩენას, თუმცა არ ჰქონდათ არც გენდერული შემადგენლობის და არც ოჯახის სიდიდის კონტროლის საშუალება. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ჰიპოთეზის დადასტურება ხელმისაწვდომი მონაცემების არარსებობის პირობებში შეუძლებელია.

[7] აზერბაიჯანის სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტი

დასკვნები და პოლიტიკის შესაძლო ვარიანტები

სამხრეთ კავკასიაში სიღარიბის გენდერულ ჭრილში მიმოხილვა ცხადყოფს, რომ რეგიონული ტენდენციები არსებითად მსგავსია დანარჩენ მსოფლიოში არსებული ტენდენციებისა. კერძოდ, საერთო დონეზე ქალებსა და კაცებს, გოგოებსა და ბიჭებს შორის არსებულ სიღარიბის მაჩვენებლებს შორის განსხვავება არაარსებითია. აღნიშნულის მიზეზი ნაწილობრივ ის არის, რომ სიღარიბე ოჯახის დონეზე იზომება და არა პიროვნების დონეზე. ზოგადი მაჩვენებლები ნიღბავს ბევრ პოტენციურ განსხვავებას რესურსებზე წვდომის ნაწილში, მათ შორის, თავად ოჯახის შიგნით მოხმარებასთან დაკავშირებით. ჯერჯერობით, ლიტერატურაში არ არსებობს შეთანხმება საყოფაცხოვრებო რესურსების განაწილების კარგი, პირდაპირი საზომის თაობაზე (ბრედშოუ, სხვები., 2017). გამოკითხვების თანახმად, თითოეული ისეთი ინდიკატორი როგორიცაა ქონების ფლობა, მემკვიდრეობის უფლებები და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა, ოჯახში გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება და ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული საკითხები (მათ შორის ქალების ეკონომიკური საქმიანობის და საერთო ოჯახურ რესურსებზე წვდომის შეზღუდვა) შესაძლოა წარმოადგენდეს არაპირდაპირ ინდიკატორს იმისა, თუ რამდენად მოწყვლადები არიან ქალები სიღარიბის მიმართ.

ცხადია, საჭიროა *გენდერული ნიშნით ჩაშლილი უკეთესი მონაცემების შეგროვება და თვალყურის სისტემატურად დევნება*. სამთავრობო სტატისტიკის სააგენტოებმა *შესაბამისი დაფინანსება უნდა მიიღონ* ამ ტიპის კვლევის ჩასატარებლად და მონაცემთა შესაგროვებლად. ზოგადად, *რეგიონის ქვეყნები უნდა შეეცადონ უზრუნველყონ გენდერულად ჩაშლილი მონაცემების შესაგროვებლად საჭირო რესურსების არსებობა* (კერძოდ, რეგულარული დროის გამოყენების კვლევები; სამუშაო ძალასთან დაკავშირებული კვლევები კონკრეტულ გენდერზე ყურადღების გამახვილებით; კვლევები, რომლებიც ასახავს რესურსების განაწილებას შინამეურნეობებში; ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული კვლევები, სხვ.), ასევე, უნდა შეეცადონ გაზარდონ მონაცემების გამჭვირვალობა და დაუმუშავებელი მონაცემების ხელმისაწვდომობა კვლევის მიზნებისთვის (განსაკუთრებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში).

უფრო მეტიც, სამხრეთ კავკასიის მონაცემები მიუთითებს, რომ ბავშვებიანი ოჯახები, განსაკუთრებით, მარტოხელა ქალის მიერ გაძღოლილი, ბევრად უფრო მოწყვლადები არიან სიღარიბის მიმართ. აღნიშნული კი კონკრეტული მიზნობრივი პოლიტიკის აუცილებლობაზე მიუთითებს, რომელიც სიღარიბის რისკის ქვეშ მყოფი ასეთი ოჯახებისთვის რისკის შემცირებისკენ იქნება მიმართული.

ამ საკითხის გადასაჭრელად საჭირო პოლიტიკებს შორის არის მოქნილი დასაქმებისა და პროფესიული გადამზადების შესაძლებლობების განვითარება, ასევე, ბავშვზე ზრუნვის დამატებითი საჭიროებები, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგნენ ეს ოჯახები.

ქალთა და გოგონათა სიღარიბისადმი მოწყვლადობის საკითხების პოლიტიკის დონეზე გადასაწყვეტად საჭიროა შემდგომი სისტემური სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გათვალისწინება. კაცთა და ქალთა სამუშაო ძალაში ჩართულობის მხრივ არსებული სხვაობა[8] სამხრეთ კავკასიაში შესაძლოა იმით იყოს განპირობებული, რომ ქალები მოკლებული არიან

[8] განსაკუთრებით სამშობიარო ასაკის ქალები.

შესაძლებლობას, ერთმანეთს შეუთავსონ სამსახური და ბავშვებზე ზრუნვა (სამუშაოს მოუქნელი პირობების გამო) ან იმ ზეწოლით, რომელსაც ქალები აწყდებიან ოჯახებში (მაგ. მათი დროის უმეტესი ნაწილის დათმობა არაანაზღაურებადი სამუშაოსათვის). ევროკავშირის კანონმდებლობა, მაგალითად, ამ საკითხებს ეხმიანება *თანამშრომლების (როგორც კაცების, ისე ქალების) პროფესიული და პირადი ცხოვრების ბალანსის უფლების კოდიფიცირებით*[9]. საქართველოშიც მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ აქტიურად *იმუშაოს კერძო სექტორთან ერთად, რათა დარწმუნდეს, რომ დამსაქმებლებს სწორად ესმით ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც ქალები დგანან შრომის ბაზარზე და ჩაერთონ მისაღები გადაწყვეტილების ჰოვნის პროცესში*.

გენდერული ნიშნით განსხვავებული ანაზღაურება (UN Women 2020a, 2020bl მსოფლიო ბანკი, 2022) კიდევ ერთი პრობლემაა, რომელსაც სამხრეთ კავკასიის თითოეულ ქვეყანაში ვაწყდებით. ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე სამუშაოსთვის ქალები კაცებზე ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ და ცხოვრების განმავლობაში უფრო ნაკლებ საათს მუშაობენ ანაზღაურების სანაცვლოდ ვიდრე კაცები (ბავშვზე ზრუნვის, ოჯახის მოვლის მოვალეობების გამო) მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ქალების ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, დასაქმებასა და მათ მოწყვლადობაზე სიღარიბის მიმართ. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა მარტივი ამოცანა არ არის, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, *არაპროპორციული ტვირთის გათვალისწინება, რომელიც რეგიონში ქალებს აწევთ არაანაზღაურებადი საოჯახო საქმეების შესრულებისა* და ბავშვზე ზრუნვის მოვალეობების ფორმით, შესაძლოა წაადგეს ამ ტვირთის შემსუბუქებას (ბაბიჩი, 2021; ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის გენდერული თანასწორობის ინდექსი, 2020; პეტროსიანი, 2005). ამგვარად, ამ კონტექსტში შესაძლოა გამართლებული იყოს პოლიტიკის გატარება, *რომელიც გაითვალისწინებს ოჯახში ქალის როლის მიმართ სოციალურ დამოკიდებულებებს*. ეს შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფო დონეზე არაანაზღაურებადი საშინაო შრომის თანაბარი გენდერული გადანაწილების ხელშეწყობას, ოჯახებში ცნობიერების ამაღლებას გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის შესახებ და ორივე სქესის ბავშვისათვის საოჯახო საქმეების საკუთარი წილის შესრულების საჭიროების სწავლებას.

სამხრეთ კავკასიაში გენდერული პროგრესის ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელი ისაა, რომ სიღარიბის ფენომენი მრავალმხრივია და ის შესაძლოა არ იყოს ერთგვაროვანი სოციალურ ჯგუფებში ან სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს მიკუთვნებულ ქალებში. შესაბამისად, შესაძლოა უმჯობესი იყოს, რომ ყურადღება, ზოგადად, სიღარიბის მიმართ მოწყვლადობაზე გამახვილდეს, ნაცვლად ქალებისა და გოგოების სიღარიბის რეალურ შემთხვევებზე ფოკუსირებისა. უნდა ვაღიაროთ, რომ არსებულმა სოციალურმა და ინსტიტუციურმა სტრუქტურებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს სიღარიბეს, სიღარიბისადმი მოწყვლადობას და მის შენარჩუნებას. უფრო მეტიც, სიღარიბისა და მოწყვლადობის როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური საკითხის განხილვა მოითხოვს პოლიტიკას, რომელიც მიმართული იქნება როგორც დამოკიდებულებების, ისე არსებული კანონებისა და რეგულაციების ცვლილებებისკენ.

[9] მაგალითად, დირექტივა 2019/1158; დირექტივა 2019/1158; დირექტივა 2006/54; დირექტივა 2010/41

გამოყენებული ლიტერატურა

Asian Development Bank. (2019). *Azerbaijan: Country Gender Assessment.*

Armstat. (2021). *Armenia – Poverty Snapshot over 2009-2020 Part I*. Available at: https://armstat.am/file/article/poverty_2021_e_2..pdf.

Babych, Y. (2021). *Global Gender Gap in Unpaid Care: Why Domestic Work Still Remains a Woman's Burden.* FREE Policy Brief. Available at: https://freepolicybriefs.org/wp-content/uploads/2021/12/20211221-frogee-policybrief-4-eng_geo_fin.pdf.

Bradshaw, S., Chant, S., & Linneker, B. (2017). Gender and poverty: what we know, don't know, and need to know for Agenda 2030. *Gender, Place & Culture,* 24:12, 1667-1688, DOI: 10.1080/0966369X.2017.1395821.

Chant, S. (2003). *The Engendering of Poverty Analysis in Developing Regions: Progress Since the United Nations Decade for Women, and Priorities for the Future*. Gender Institute Working Paper, New Series, Issue 11, London School of Economics and Political Science. (http://eprints.lse.ac.uk/573/).

Chant, S., ed. (2010) *The International Handbook of Gender and Poverty: Concepts, Research, Policy*. Cheltenham: Edward Elgar.

European Union. (2021). *Gender Country Profile: Armenia.*

International Monetary Fund. (2003). *Azerbaijan Republic: Poverty Reduction Strategy Paper*. IMF Country Report No. 03/105.

Johnsson-Latham, G. (2004). 'Understanding female and male poverty and deprivation', in Johnsson-Latham, G. (ed.), *Power and Privileges: Gender Discrimination and Poverty*. Stockholm: Regerinskanliet, pp. 16–45.

Johnson, R. (2005). 'Not a sufficient condition: the limited relevance of the gender MDG to women's progress', in Sweetman, C. (ed.). *Gender and the Millennium Development Goals*. Oxford: Oxfam, pp. 56–66.

Munoz-Boudet, A. M., Bhatt, A., Azcona, G., Yoo, J., & Beegle, K. (2021). *A Global View of Poverty, Gender, and Household Composition.*

Petrosyan, H. (2005). *Unpaid Work and Gender Inequality in Armenia*. Levy Economics Institute. Available at: https://www.levyinstitute.org/undp-levy-conference/papers/paper_Petrosyan-2.pdf.

Terada-Hagiwara, A., Camingue, S., & Zveglich, J.E. (March 2018). *Gender Pay Gap: A Macro Perspective.* ADBI Working Paper 538. Available at SSRN: https://ssrn.com/abstract=3188504 or http://dx.doi.org/10.2139/ssrn.3188504.

UN. (2015). *The World's Women 2015*.

Available at: https://unstats.un.org/unsd/gender/downloads/Ch8_Poverty_info.pdf.

UN Women. (2015). *Progress of the World's Women 2015-2016.* Available at: https://progress.unwomen.org/en/2015/pdf/UNW_progressreport.pdf.

UN Women. (2019). *Progress of the World's Women 2019-2020.* Available at: https://www.unwomen.org/sites/default/files/Headquarters/Attachments/Sections/Library/Publications/2019/Progress-of-the-worlds-women-2019-2020-en.pdf.

UN Women. (2020a; 2021). *Country Gender Equality Profile of Georgia*. Available at: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2020/Country%20Gender%20Equality%20Profile%20of%20Georgia.pdf and https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2021/11/country-gender-equality-profile-of-georgia_georgia.

UN Women. (2020b). *Analysis of the Gender Pay Gap and Gender Inequality in the Labour Market in Armenia*.

Available at: https://armstat.am/file/article/analysis_of_the_gender_pay_gap_armenia_en.pdf.

UN Women. (2020c). *Analysis of the Gender Pay Gap and Gender Inequality in the Labour Market in Georgia*. Available at: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2020/Gender%20Pay%20Gap_Georgia_Eng.pdf.

UN Women. (2021). *Four facts you need to know about gender and poverty today.* Available at: https://data.unwomen.org/features/four-facts-you-need-know-about-gender-and-poverty-today.

UN Women. (2022). *Poverty deepens for women and girls, according to latest projections.* Available at: https://data.unwomen.org/features/poverty-deepens-women-and-girls-according-latest-projections.

World Bank. (2021a). Country Gender Assessment Georgia. Available at: https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/35366/Georgia-Country-Gender-Assessment.pdf?sequence=1&isAllowed=y.

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის ეკონომიკის წამყვანი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი საქართველოში. ინსტიტუტის საქმიანობის საგანს წარმოადგენს როგორც კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა, ისე ტრენინგებისა და დისკუსიების ორგანიზება საჯარო პოლიტიკის ირგვლივ. ISET-ის კვლევით ინსტიტუტსა და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (ISET) შორის არსებული მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს ორივე ორგანიზაციის ინტელექტუალურ-ფინანსურ მდგრადობას. ინსტიტუტის მიზანია, საქართველოსა და რეგიონის მასშტაბით წვლილი შეიტანოს ეკონომიკის, განათლების, დემოკრატიული მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

www.iset-pi.ge

iset-pi@iset.ge

+995 322 507 177